<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 96[1] მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირის, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირის (რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება), იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას – 15000 ლარის ოდენობით.“;

2. 149-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირის, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირის (რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება), იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას – 15000 ლარის ოდენობით.“.

3. 228[2] მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის 96[1] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირის, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოეშვა დღგ-ის

გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება) დაჯარიმების შესახებ დადგენილებას იძულებით აღასრულებენ შესაბამისად ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიანტები და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. თუ ამ ნაწილში მითითებულმა პირებმა ვერ განახორციელეს იძულებითი აღსრულება, ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირის, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება) დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. ამ კოდექსის 96[1] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირის (რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება)/იურიდიული პირის/დაწესებულების დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“.

4. 228[3] მუხლი მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირის, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება) დაჯარიმების შესახებ დადგენილებას იძულებით აღასრულებენ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. თუ ამ ნაწილში მითითებულმა პირებმა ვერ განახორციელეს იძულებითი აღსრულება, ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირის, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება) დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირის (რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო

რეგისტრაციის ვალდებულება)/იურიდიული პირის/დაწესებულების დაჯარიმების შესახებ დადგენილება იძულებით აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2.
ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**